

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №13

25 აგვისტო 2016 წელი

ქ. ბათუმი
12⁰⁰ საათი.

- სხდომას თავმჯდომარეობდა** უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალალონია.
- სხდომას ესწრებოდნენ:** გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჭავანაძე, მკვა ლომაძე, შორენა ჭაღალიძე, კახაბერ ჯაიანი, ნუგზარ ბაჯელიძე, მამუკა ჯაში, ირაკლი გვარამია და მამუკა კოპალეიშვილი.
- აგრეთვე ესწრებოდნენ:** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტების, მასმედიის წარმომადგენლები და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენელი რაჟდენ ხიმშიაშვილი.
- მოისმინეს:** სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება

არასამთავრობო ორგანიზაციის - „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ აჭარის ფილიალის წარმომადგენლის საჩივრის შესახებ, (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გამო (საქმე N3/ზ-406-16 წ.) უსკოში რეგისტრაციის N01-24/109, 24/08/16 წ.);

2. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვას:

თორნიკე მჭავანაძემ და პარმენ ჯალალონიამ.

თორნიკე მჭავანაძეს მიაჩნია, რომ თუკი სასამართლომ დაავალა უსკოს ხელახლა ემსჯელა ხსენებულ საკითხზე და მიეღო გადაწყვეტილება, უსკო კომისიური ორგანოა

და შეუძლია ბათილად ცნოს N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილება. შესაბამისად ითხოვა ხსენებული გადაწყვეტილების სხდომაზე კენჭისყრაზე დაყენება.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის სხდომაზე (გამოთქმული) დაყენებული ცვლილებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

განკარგულება

- N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ;
- არასამთავრობო ორგანიზაციის - „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ აჭარის ფილიალის წარმომადგენლის საჩივრის შესახებ, (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გამო (საქმე N3/ზ-406-16 წ.) უსკოში რეგისტრაციის N01-24/109, 24/08/16 წ.)

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს წარუდგინა არასამთავრობო ორგანიზაციის - „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ აჭარის ფილიალის წარმომადგენლის საჩივარი (ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების გამო (საქმე N3/ზ-406-16 წ.) უსკოში რეგისტრაციის N01-24/109, 24/08/16 წ.) და მასთან დაკავშირებული მასალები და აღნიშნა, რომ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის მიერ 2016 წლის 08 აგვისტოს უსკოში გასაჩივრდა N79 ბათუმის საოლქო

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 06 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილება წინასაარჩევნო აგიტაციაში უცხო ქვეყნის მოქალაქის მონაწილეობისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, რომელიც უსკოს მიერ 2016 წლის 09 აგვისტოს გადაწყვეტილებით დარჩა განუხილველად, საიას აჭარის ფილიალის წარმომადგენლის მიერ უსკოს გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებული იქნა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. 2016 წლის 11 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი უსკოს 2016 წლის 9 აგვისტოს N26 განკარგულება „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ“ და უსკოს დაევალა განეხილა საიას 2016 წლის 8 აგვისტოს Nგ-01-46 საჩივარი N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 06 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების გაუქმება, რომელიც უსკოს მიერ გასაჩივრებული იქნა სააპელაციო სასამართლოში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 17 აგვისტოს განჩინებით უსკოს საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილება, რის შემდეგაც უსკოს იურიდიული სამსახურის უფროსს ფრიდონ ბათნიძეს სთხოვა კომისიისათვის განემარტა საჩივრის არსი და N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 8 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების კანონიერება.

იურიდიული სამსახურის უფროსმა ფრიდონ ბათნიძემ კომისიის წევრებს და დამსწრე საზოგადოებას გააცნო იურიდიული სამსახურის დასკვნა და აღნიშნა, რომ N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილება კანონიერია, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-17 მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 53-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღებისათვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ უცხო ქვეყნის მოქალაქეს სამართალდარღვევის ჩადენისათვის პასუხისმგებლობა საქართველოს მოქალაქეებს თანაბრად შეიძლება დაეკისროს იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული ნორმების მოთხოვნებიდან გამომდინარე უცხო ქვეყნის მოქალაქეს ვერ დაეკისრება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, რადგანაც (ვირტუალური) ვიდეო ტრანსლირება საქართველოს ტერიტორიაზე ვერ ჩაითვლება მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, იქედან გამომდინარე, რომ აღნიშნული პირი არ იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე.

აზრი გამოთქვას:

თორნიკე მჭავანაძემ, ზურაბ გოლიაძემ, შორენა ჭალაიძემ, მაკა ლომაძემ, კახაბერ ჯაიანმა, რამაზ გოლომანიძემ, გუგული დუაძემ, საიას წარმომადგენელმა რაჟდენ ხიმშიაშვილმა, საარჩევნო სუბიექტის - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა უსკოში პეტრე ზამზახიძემ და პარმენ ჯალალონიამ.

თორნიკე მჭავანაძეს მიაჩნია, რომ თუკი სააპელაციო სასამართლომ დაავალა უსკოს ხელახლა ემსჯელა ხსენებულ საკითხზე და მიელო გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში უსკოს შეუძლია იმსჯელოს N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 8 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

ზურაბ გოლიაძემ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩადენილია უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე, ვინაიდან ტრანსლირება განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე და მიაჩნია, რომ ეს ქმედება განხორციელდა საქართველოში. თუმცა ასევე მიაჩნია, რომ სასამართლოს განმარტებით უსკოს არ აქვს სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლება, ამიტომ

თვლის, რომ უნდა გაუქმდეს N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება და დაევალოს ხელახლა იმსჯელოს სამართალდარღვევის ფაქტის არსებობის შესახებ, მისი გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლომ მიიღოს რაღაც პრეცედენტი რაც მსგავს სიტუაციებში კარგი მაგალითი იქნება სამომავლოდ.

შორენა ჭალაიძეს მიაჩნია, რომ დაირღვა საარჩევნო კოდექსის მოთხოვნა და თვლის, რომ უსკომ უნდა გააუქმოს N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება და დაევალოს შესაბამის თანამდებობის პირს იმსჯელოს ხსენებულ საკითხზე ხელახლა ან უსკომ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს საარჩევნო კოდექსში არსებული ჩანაწერი, რომ აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვს უცხო ქვეყნის მოქალაქეს კარგავს აზრს.

მაკა ლომაძეს მიაჩნია, რომ უსკომ უნდა გააბათილოს N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება და ხელახლა შეისწავლოს ჰქონდა თუ არა ადგილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტს.

რამაზ გოლომანიძემ, გუგული დუაძემ და კახაბერ ჯაიანმა აღნიშნეს, რომ N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილება კანონიერია და შესაბამისად მიაჩნიათ, რომ N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება არ უნდა გაუქმდეს და დარჩეს უცვლელად.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა რაჟდენ ხიმშიაშვილმა აღნიშნა, რომ საიას საჩივრის მიზანია ყველა საარჩევნო სუბიექტებისათვის შეიქმნას თანაბარი საარჩევნო გარემო და აღნიშნულ საკითხზე უსკომ ჩამოაყალიბოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, ასევე მიაჩნია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ აკმაყოფილებს როგორც გადაწყვეტილების ფორმალურ მხარეს ასევე აქტის დადგენის კრიტერიუმებს, ასევე აღნიშნა, რომ უსკომ უნდა დაუშვას პრეცედენტი და მიიღოს გადაწყვეტილება N79 ბათუმის საოლქო

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 8 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე და დაავალოს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ხელახლა იმსჯელოს სამართალდარღვევის ფაქტთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა საიას საჩივრის მე-2 და მე-3 მოთხოვნები იყო ზოგადი თუ არსებითი ხასიათის, (2016 წლის 01 აგვისტოს განცხადების საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სამართალდარღვევის არსებობის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღება).

საიას წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2016 წლის 01 აგვისტოს განცხადების საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სამართალდარღვევის არსებობის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღება არის ზოგადი ხასიათის და არ არის არსებითი.

ზურაბ გოლიაძე დაინტერესდა, რა მოსაზრება გააჩნია საიას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-17 მუხლის დათქმაზე, რომლითაც საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ უცხოელ მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრებათ საქართველოს მოქალაქეთა თანაბრად, მას მიაჩნია, რომ სამართალდარღვევა ჩადენილია საქართველოს ტერიტორიაზე.

საიას წარმომადგენელმა რაჟდენ ხიმშიაშვილმა აღნიშნა, რომ ვიდრე ვიმსჯელებთ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-17 მუხლზე, უნდა ამოვიდეთ ამავე კოდექსის მე-9 მუხლის მოთხოვნებიდან, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენის დროს და ადგილს, რომლის შესაბამისადაც, ეს ქმედება უნდა მივიჩნიოთ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ ქმედებად და ამ მუხლებზე დაყრდნობით უსკომ გადაწყვეტილების მიღებით ხელი შეუწყოს ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა უსკოში პეტრე ზამბახიძემ აღნიშნა, რომ უსკომ არ უნდა გააუქმოს N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება, ვინაიდან სამართალდარღვევათა კოდექსის მე-17 მუხლი განმარტავს, რომ სამართალდარღვევად მიიჩნევა ქმედება, რომელიც განხორციელებულია საქართველოს ტერიტორიაზე და მიაჩნია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მან აღნიშნა, რომ N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს გადაწყვეტილების მისაღებად შეედლო დამატებითი კვლევისათვის შესაბამისი სამსახურიდან მოეთხოვა ინფორმაცია, გადმოკვეთა თუ არა საზღვარი უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილმა, ასევე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ შეიძლება ჩაითვალოს ფაქტად, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტი იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, ვინაიდან ვირტუალური ჩართვით არ დასტურდება მისი საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ფაქტი.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ერთდროულად გამართვის დროს ვხელმძღვანელობთ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონითა და საქართველოს საარჩევნო კოდექსით, რომელიც შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ერთმანეთთან, მან აღნიშნა, რომ საიას საჩივარზე, რომელიც იმავე სამართალდარღვევის ფაქტზე იყო წარდგენილი ცესკოში. აღნიშნულზე ცესკომ მიიღო გადაწყვეტილება საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, და დადგენილად ჩათვალა, რომ სამართალდარღვევას ადგილი არ ქონია. ცესკოს აღნიშნული გადაწყვეტილება საიამ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში, სასამართლომ კი განჩინებით განუხილველად დატოვა საჩივარი, ამავე განჩინებაში თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია წარმოადგენს საოლქო საარჩევნო კომისიის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

თორნიკე მჭავანაძემ ითხოვა N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6

ავგისტოს N02-44 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ კენჭისყრაზე დაყენება.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა თორნიკე მჟავანაძის წინადადება №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 4;

წინააღმდეგი 6;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

უმაღლესი საარჩევნო კომისიის სამმა წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

განკარგულება - №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ არ იქნა მიღებული.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 8;

წინააღმდეგი 4;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

უმაღლესი საარჩევნო კომისიის ერთმა წევრმა კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

განკარგულება მიღებულია:

2016 წლის 08 აგვისტოს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის რაჟდენ ხიმშიაშვილის მიერ უსკოში

შემოტანილი იქნა საჩივარი (უსკოში რეგისტრაციის N01-26/84, 17:55 სთ.) უცხო ქვეყნის მოქალაქის წინასაარჩევნო აგიტაციაში შესაძლო მონაწილეობის გამო სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უარის თქმის თაობაზე N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. ასევე საჩივრის ავტორი ითხოვდა უცხო ქვეყნის მოქალაქის წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოების დაწყებასა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას უსკოს მიერ.

საჩივარში მითითებულია, რომ 2016 წლის 31 ივლისს პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიერ ქალაქ ბათუმში მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენისას, შეხვედრაზე გავრცელდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის და ამჟამად უკრაინის მოქალაქის, უკრაინის ქალაქ ოდესის გუბერნატორის - მიხეილ სააკაშვილის ვიდეომიმართვა, რომელიც როგორც საჩივარშია აღნიშნული, შეიცავდა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მხარდაჭერისკენ მოწოდებას. საჩივრის ავტორის აზრით, ადგილი ჰქონდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას, რომლის თანახმადაც წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება ეკრძალება უცხო ქვეყნის მოქალაქეს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენელს N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე, იმ საფუძველით, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ უცხოელ მოქალაქეს სამართალდარღვევის ჩადენისათვის პასუხისმგებლობა, საქართველოს მოქალაქეების თანაბრად, შეიძლება დაეკისროს იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი მოქალაქე იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე.

აღნიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებაზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის

წარმომადგენლის საჩივარი 2016 წლის 09 აგვისტოს უსკოს N26 განკარგულებით განუხილველად იქნა დატოვებული, იმ საფუძვლით, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 93-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე უსკო არ არის უფლებამოსილი ორგანო შეადგინოს სამართალდაღვევის ოქმი.

მიღებული განკარგულება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის მიერ გასაჩივრებული იქნა სასამართლო წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში. 2016 წლის 11 აგვისტოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი უსკოს 2016 წლის N26 განკარგულება. აღნიშნული გადაწყვეტილება 2016 წლის 19 აგვისტოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით (3/ბ-406-16 წ) უცვლელად დარჩა.

სასამართლოს გადაწყვეტილებით განმარტებული იქნა რომ, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მოთხოვნებიდან გამომდინარე აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან მიმართებაში უსკო, როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, უფლებამოსილია განიხილოს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები.

საჩივარში მოყვანილი გარემოებების შესწავლის შედეგად მიგვაჩნია, რომ საჩივრის ავტორს უარი უნდა ეთქვას მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-2 მუხლის „31“ პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაცია განმარტებულია, როგორც ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიებების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის

და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება ეკრძალება უცხო ქვეყნის მოქალაქეს. ამასთან, წინასაარჩევნო აგიტაციაში კანონის დარღვევით მონაწილეობის მიღებისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ X თავით, კერძოდ, 79-ე მუხლით, რომლის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება კანონის დარღვევით გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით. როგორც ცნობილია, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო უკრაინის მოქალაქეობა და, შესაბამისად, იგი წარმოადგენს უცხო ქვეყნის, კერძოდ, უკრაინის მოქალაქეს. ასევე საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-17 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ უცხოელ მოქალაქეს სამართალდარღვევის ჩადენისათვის პასუხისმგებლობა, საქართველოს მოქალაქეების თანაბრად, შეიძლება დაეკისროს იმ შემთხვევაში, თუ უცხოელი მოქალაქე იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე. ზემოხსენებული საკანონმდებლო ნორმის ანალიზის შედეგად, მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ბატონი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, ამავდროულად არ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე და არის სხვა ქვეყნის მოქალაქე, მის მიერ საარჩევნო კოდექსით აკრძალული ქმედების განხორციელება ვერ გახდება მისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების, მათ შორის, სამართალდარღვევის ოქმის შედგენის საფუძველი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის წარმომადგენლის რაჟდენ ხიმშიაშვილის საჩივარი N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 აგვისტოს N02-44 გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ და უსკოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყებისა და სამართალდარღვევის აქტის

შედგენის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოების გამო.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

პარმენ ჯალაღონია

კომისიის მდივანი

სოფიო კახაძე